

ივნისი 2021



China Watch

CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION
საქართველოში

ანგარიში 7

სამოქალაქო იდეას შესახებ

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქეზე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი“, რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

შესავალი	2
CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION საქართველო	6
1. ზოგადი მიმოხილვა	6
2. E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობა (F3)	7
2.1. პროექტის მიზანი და დაფინანსების წყაროები	7
2.2. ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა	8
2.3. მშენებლობის ზედამხედველობა	9
3. შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა	10
4. ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოები	14
CRBC ყირგიზეთში	16
CRBC ხორვატიაში	16
CRBC უკრაინაში	17
CRBC ფილიპინებში	18
CRBC კენიაში	19
Standard Gauge Railway (SGR)-ის ბილეთების თაღლითური სქემა	21



中国路桥工程有限责任公司
CHINA ROAD & BRIDGE CORPORATION

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეა“ განაგრძობს კვლევებს სკანდალური ჩინური კომპანიებისა და საქართველოში მათი სადავო საქმიანობის შესახებ. ასევე, ქართველ აუდიტორიას ჩინურ კომპანიებთან დაკავშირებულ თაღლითურ სქემებზე, სკანდალურ ფაქტებზე და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებებზეც მოუყვება. ამჯერად, ორგანიზაციის ყურადღება 1958 წელს დაარსებულმა ჩინეთის სახელმწიფოს უმსხვილესმა კომპანიამ – „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია“ (**“China Road and Bridge Corporation”**) მიიპყრო, რომელიც აფრიკის, აზიის, ევროპისა და ამერიკის მთავარ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პასუხისმგებელი.

2005 წლიდან, China Harbour Engineering Co.-სთან შერწყმის შემდეგ, „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია“ (CRBC) **“China Communications Construction Company Limited (CCCC)”**-ის შვილობილი კომპანია გახდა.¹ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპანია და მისი მემკვიდრე CCCC საეტვო ბიზნეს საქმიანობის განხორციელების გამო, მსოფლიო ბანკის შავ სიაში მოხვდნენ.

2009 წლის იანვარში, **The Integrity Vice Presidency (INT)-მა**, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში თაღლითობასა და კორუფციაში მონაწილე კომპანიების მოქმედებების გამოძიებასა და მათთვის სანქციების დაწესებაზე, ოფიციალურად აუკრძალა **“China Road and Bridge Corporation”**-ს საქმიანობა. საგამოძიებო განყოფილება ირწმუნებოდა, რომ ამ უკანასკნელმა „უკანონოდ, დარღვევებით შეათანხმა რამდენიმე სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიასთან ფილიპინების ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამის (NRIMP 1) პირველი ფაზის ტენდერში მონაწილეობა“. სანქციები რვა წელი გაგრძელდა და 2017 წლის იანვრამდე, CRBC მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში დაიბლოკა.

2011 წელს, მსოფლიო ბანკმა ასევე აუკრძალა საქმიანობა CRBC-ის მემკვიდრე CCCC-ს ფილიპინებში, იმავე პროექტში გამოვლენილი თაღლითური მოქმედებების გამო.

უფრო მეტიც, 2020 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა **გამოაქვეყნა საექსპორტო შეზღუდვები** ჩინეთის სახელმწიფო კომპანიებისთვის, მათი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში კორუფციულ და თაღლითურ საქმიანობაში მონაწილეობის გამო. მათ შორის CCCC და მისი შვილობილი კომპანიებიც იყვნენ.

სამწუხაროდ, ფილიპინები არ აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომლის გამოც, მსოფლიო ბანკი China Road and Bridge Corporation-ს დაუპირისპირდა.

2015 წელს, მსოფლიო ბანკმა **გამოაქვეყნა განცხადება**, რომელიც ეხებოდა უგანდაში გზების მშენებლობისა და განვითარების პროექტებს და CRBC-ის მონაწილეობას სატენდერო პროცესში. Integrity Vice Presidency (INT)-ის – უგანდას მთავრობამ, რომელიც შესყიდვების ყველა პროცედურას ხელმძღვანელობდა და ვალდებული იყო, ზედმიწევნით დაეცვა პროცედურული საკითხები CRBC-სთან მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ Pakwach-Nebbi Road პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმა. უკვე დაწესებული სანქციების გამო, უგანდის მთავრობას ტენდერიდან CRBC-ის მოხსნა სთხოვეს.

მსოფლიო ბანკის სანქციების, აშშ-ს სკეპტიციზმისა და CRBC-სთან დაკავშირებული მრავალი სხვა არასასიამოვნო, საეჭვო მოვლენების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა აქტიურ თანამშრომლობას განაგრძობს ჩინური კომპანიის წარმომადგენლებთან და მეტიც, მათთან ახალ კონტრაქტებს აფორმებს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ანგარიშის მიზანია, გიამბოთ საქართველოში ჩინეთის მიერ განხორციელებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ, რომელშიც ვლინდება შესყიდვებსა და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები. საქართველოს მაგალითთან ერთად, ჩვენს ანგარიშში მიმოვიხილავთ CRBC-ის გადაცდომებს ყირგიზეთში, ხორვატიაში, უკრაინაში, ფილიპინებსა და კენიაში.

■ worldbank.org/en/news/press-release/2011/07/29/world-bank-applies-2009-debarment-to-... ☆

World Bank Applies 2009 Debarment to China Communications Construction Company Limited for Fraud in Philippines Roads Project

July 29, 2011

Washington, July 29, 2011 – The World Bank today announced the debarment of China Communications Construction Company (CCCC) Limited, and all its subsidiaries, for fraudulent practices under Phase 1 of the Philippines National Roads Improvement and Management Project. Under the sanction, CCCC is ineligible to engage in any road and bridge projects financed by the World Bank Group until January 12, 2017. This action is based on recent changes in the World Bank sanctions system to clarify that successor organizations – through purchase or reorganization – will be subject to the same sanctions applied to the original firm.

CCCC is the designated successor entity to China Road and Bridge Corporation (CRBC) which, along with six other firms and one individual, was debarred by the World Bank for eight years, beginning January 12, 2009, following an investigation of the National Roads Improvement and Management Project by the World Bank's Integrity Vice Presidency (INT). No World Bank funds from the NRIMP project were disbursed to any of the sanctioned firms.

■ worldbank.org/en/country/uganda/inf/world-bank-statement-on-commission-of-inquiry-into-uganda-national-roads-authority-... ☆

World Bank Statement on Commission of Inquiry into Uganda National Roads Authority (UNRA)

October 14, 2015

KAMPALA, October 22, 2015 – We welcome the work of the Commission of Inquiry into Uganda National Roads Authority (UNRA), particularly the commitment to ensure good governance and value for money in the roads sub-sector.

The World Bank Group (WBG) takes allegations of fraud and corruption very seriously. We have an Integrity Vice Presidency (INT) that investigates such allegations and helps ensure accountability. INT is already notified of the issues being raised in the Commission of Inquiry as they relate to Bank-financed projects and is taking the necessary action.

The WBG financed the Pakwach-Nebbi Road as part of Phase 1 of the [Road Development Project](#), from July 2001 to June 2004. As with other projects that the Bank finances, all procurement, contracting and contract management is the responsibility of the recipient Government. Therefore, China Road and Bridge Corporation (CRBC) and Pakmen Ltd were contracted and supervised by the Government of Uganda.

CRBC was debarred by the World Bank Group for eight years, beginning January 12, 2009, following an investigation by the INT into the National Roads Improvement and Management Project in the Philippines. Debarment renders firms ineligible to bid on WBG-financed contracts for the duration of the sanction.

CRBC-სთან დაკავშირებული სკანდალური მოვლენების თაიფლავი

2009

მსოფლიო ბანკმა  THE WORLD BANK სანქციები დაუწესა China Road and Bridge Corporation-ს ფილიპინების  ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამასთან (NRIMP 1) დაკავშირებული თაღლითური პრაქტიკის გამო.

2009

კენიაში  Standard Gauge Railway (SGR) პროექტს, რომელსაც CRBC ხელმძღვანელობდა და რომლის 85%-ს სკანდალური ჩინური ბანკი (Exim Bank) აფინანსებდა, სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ოპოზიციის ლიდერებისა და კენიელი ეკონომისტების მხრიდან, რადგან მათ ქვეყნის ვალის ზრდაში ადანაშაულებდნენ.

2015

უგანდას  მთავრობამ, რომელსაც შესყიდვების ყველა პროცედურის დაცვა ევალებოდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ Pakwach-Nebbi Road პროექტთან დაკავშირებით, თავდაპირველად CRBC-სთან გააფორმა ხელშეკრულება. მიუხედავად ხელშეკრულების გაფორმებისა, უკვე დაწესებული სანქციების გამო, უგანდის მთავრობას ტენდერიდან CRBC-ის დისკვალიფიკაცია სთხოვეს.

2015

კენიის  სასამართლომ გამოაქვეყნა სამოქალაქო საჩივარი ნომრით 13, რომლითაც CRBC-ის მიერ SGR-ის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაცდომები გაამჟღავნა. მოგვიანებით, 2018 წელს, ეთიკისა და ანტიკორუფციულმა კომისიამ (EACC) კენიის მთავრობის წარმომადგენლების მიერ, 221.4 მილიონი შილინგის (2.20 მილიონი დოლარი) ქურდობა გამოავლინა.

2018

კენიაში  CRBC-ის კიდევ ერთი სკანდალი უკავშირდება. კომპანია „AfriStar“-მა და მისმა მთავარმა აქციონერმა CRBC-მა, ბილეთების რთული დაჯავშნის სისტემით მანიპულირება მოახდინა და ჩინეთის რკინიგზის შემოსავლები ოპერატორსა და სხვა თანამშრომლებს შორის გადაანაწილა. მათ შექმნეს თანხის ანაზღაურების ყალბი სისტემა იმ ბილეთებზე, რომლებიც მატარებელში ასვლისთანავე უკვე დაურიგდათ მათ მომხმარებლებს, ხოლო შემოსული თანხა კი, რეალურად სხვაგან გადარიცხეს.

 Office of The Director Of Public Prosecutions @ODPP_KE · Nov 25, 2018
1/3 The DPP has today given consent to @EACCKenya to institute criminal prosecution against three Chinese Nationals working with China Roads and Bridge Corporation (CRBC) at the Standard Gauge Railways (SGR) Mombasa Terminus. cc @DCL_Kenya

 Office of The Director Of Public Prosecutions @ODPP_KE
2/3 The three, Mr. Li Gen the in-charge of Transport, Mr. Li Xiaowu-security manager and Mr. Sun Xin-staff, were offering @DCL_Kenya investigators bribe of Kshs 500,000/= as an inducement to influence an ongoing criminal investigation at the SGR Miritini terminus. cc @EACCKenya



7:09 PM · Nov 25, 2018

1

2018

მასობრივი კორუფციული სკანდალი ყირგიზეთის  ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის, 433 კილომეტრიანი გზისა და გვირაბის ირგვლივ, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს (ბიშკეკს) აკავშირებს სამხრეთ ნაწილთან (ოშთან). სკანდალში გახვეულები იყვნენ ყირგიზეთის მთავრობის წევრები და CRBC-ის წარმომადგენლები.

2018

სკანდალი ხორვატიაში  Pelješac-ის ხიდის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ავსტრიულმა Strabag-მა საჩივარი შეიტანა ჩინური კონტრაქტორის CRBC-ის წინააღმდეგ. ავსტრიული ფირმა ამტკიცებდა, რომ გამარჯვებული კომპანიის მიერ, ზოგიერთი ობიექტი საეტვოდ დაბალ ფასში იყო წარმოდგენილი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას.

2018

ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა (Exim Bank)  200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სესხი მისცა უკრაინას (დროშა) Odesa-Mykolaiv-Kherson საავტომობილო გზის მშენებლობისთვის, რომელსაც CRBC ხელმძღვანელობს.

2018

საქართველოს  საავტომობილო გზების დეპარტამენტმა China Road and Bridge Corporation-თან 901,973,206.57 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა უბისა-შორაპანის 13 კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2020

17 თებერვალი

საქართველოს  საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფიციალარ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია სოფელ უბისაში, უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებელი კომპანიის „China Road and Bridge Corporation“-ის საამქროს თუნუქის სახურავის ჩამოშლასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც 2 ჩინელი მუშა მსუბუქად, ხოლო ერთი ქართველი მუშა მძიმედ დაშავდა.

2020

18 მაისი

უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისას China Road and Bridge Corporation-ის დასაქმებული – ბულდოზერის ოპერატორი მძიმედ დაშავდა, რის შედეგადაც მუშას ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

2020

17 აგვისტო

საქართველოს  საავტომობილო გზების დეპარტამენტმა China Road and Bridge Corporation-თან 6,997,668.00 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2020

სექტემბერი

საქართველოს  საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კვლავ გამოქვეყნა ინფორმაცია China Road and Bridge Corporation-ის სამუშაო ტერიტორიაზე – უბისა-შორაპანის გზატკეცილზე ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიის სპეციალისტის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით.

1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ **China Watch**-ის წინა ანგარიშებიდან გახდა ცნობილი, საქართველოს საჯარო უწყებების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ჩინური წარმომავლობის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიები. ისინი მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ მსხვილ ტენდერებში და ხშირად, საკმაოდ საეჭვო გარემოებებში „ამარცხებენ“ ბევრად უფრო კვალიფიციურ ქართულ და სხვა უცხოურ კომპანიებს.

ზემოხსენებულ ჩინურ კომპანიათა რიცხვს განეკუთვნება China Road and Bridge Corporation (CRBC). ეს უკანასკნელი, სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს პორტალზე, პირველად 2016 წლის დეკემბერში **დარეგისტრირდა მიმწოდებლის სტატუსით**.¹ ამავე პორტალზე განთავსებული ინფორმაციის შესაბამისად კი, პირველად ტენდერში **2020 წლის აგვისტოში გაიმარჯვა** და ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. თუმცა, სინამდვილეში აღნიშნული ტენდერი არ გახლავთ პირველი, რომელშიც გამარჯვება China road and bridge corporation-მა მოიპოვა.

კერძოდ, პროექტ **„E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობასთან(F3)“** დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი, არ არის განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის** პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს (...) ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი.“ ვინაიდან, პროექტი დააფინანსა ევროპის საინვესტიციო ბანკმა, შესყიდვის პროცედურული საკითხებიც, სწორედ, ამ ორგანიზაციამ განსაზღვრა, საკუთარი წესების შესაბამისად და არ გამოუყენებია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი

¹ იხილეთ მიმწოდებელთა სია
<https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge>

ელექტრონული სისტემა. აღნიშნული პროექტისა და მისი გამარჯვებულის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვება კი, შემსყიდველის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე შესაძლებელი.

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში მიმოხილული იქნება, სწორედ, ზემოხსნეული ტენდერები, მათთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარვეზები, საქართველოში China Road and Bridge Corporation-ის მიერ განხორციელებული არაკომერციული აქტივობები და კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები, რომელთა სავარაუდო მიზეზი შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაა.

2. E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობა(F3)

2.1. პროექტის მიზანი და დაფინანსების წყაროები

2016 წლის 16 სექტემბერს, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაციის ფარგლებში წარადგინა „რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის – სივრცითი მოწყობის რეფორმა“, რომლის ფარგლებშიც მიმოხილა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი და მისი ქვე-მარშრუტები, მათ შორის, რიკოთის მონაკვეთი – ჩუმათელეთი-არგვეთა. აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობა 2018 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 51.6 კილომეტრამდე სიგრძის გზის მშენებლობა, სადაც განთავსებული იქნება 96 ხიდი და 53 გვირაბი.

მაგისტრალი დაიყო 4 ლოტად. დღეის მონაცემებით უკვე ცნობილია თითოეული ლოტის დაფინანსების წყარო და გამოვლენილია მშენებელი კომპანია:

ლოტი	დაფინანსების წყარო	მშენებელი კომპანია
ჩუმათელეთი-ხევი (I ლოტი) – 11.7 კმ	მსოფლიო ბანკი (WB) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	China State Construction Engineering Corporation Limited
ხევი-უბისა (II ლოტი) – 12,2 კმ	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	Hunan Road and Bridge Construction Group
უბისა-შორაპანი (III ლოტი) – 13 კმ	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	China Road and Bridge Corporation
შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი (IV ლოტი) – 14,7კმ	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	Guizhou Highway Engineering Group და China National Technical Import and Export Corporation

პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, გამომდინარე იქედან, რომ იგი **დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მონაკვეთების ერთმანეთთან დაკავშირებას ისახავს მიზნად**. მშენებლობის დასრულების სავარაუდო პერიოდი კი, **2022-2023 წელია**. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებით:

„მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მთავარი სატრანსპორტო არტერიის ხარისხი, რაც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.“

2.2. ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა

რიკოთის საუღელტეხილო გზის მესამე მონაკვეთის – უბისა-შორაპანი 13 კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად, 2018 წლის 6 ივლისს, **ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB)** დაახლოებით, 332 მილიონი ევრო გამოყო. EIB-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული **ინფორმაციის** შესაბამისად, დაფინანსების მიმღები სახელმწიფო უწყება ვალდებულია, შესყიდვის პროცედურა განახორციელოს EIB-ის შესყიდვების წესების, ევროპის სახელმწიფო შესყიდვების სამართლისა და ლოკალური სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად.

უბისა-შორაპანის 13 კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოების მომსახურების ელექტრონული შესყიდვის შესახებ **ტენდერი** 2018 წლის 4 ივლისს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. სატენდერო დოკუმენტაციის ფარგლებში განისაზღვრა **მოთხოვნები მშენებლობის გამოცდილებასთან დაკავშირებით**, მათ შორის, მონაწი-

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე და
კომპანია „China Road and Bridge Corporation“-ის
თავმჯდომარე ლუ შანი



ლეობის მიღება 3 ან ნაკლებ 320 მილიონ დოლარიან კონტრაქტში, რომელიც წარმატებით დასრულდა. პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღად 2021 წლის დეკემბრი განისაზღვრა. **ტენდერში მონაწილეობა ჯამში 8 კომპანიამ მიიღო. 2018 წლის 21 ნოემბერს გამოვლინდა გამარჯვებული China Road and Bridge Corporation, რომელთანაც 901,973,206.57 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა.** ვინაიდან, პროექტთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი არ არის განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში **უცნობია:**

- ▶ რა კრიტერიუმებით შეირჩა სწორედ China Road and Bridge Corporation?
- ▶ მოხდა თუ არა სხვა მონაწილეების დისკვალიფიკაცია და თუ მოხდა რა მიზეზით?

„სამოქალაქო იდეა“ დაუკავშირდა საავტომობილო გზების დეპარტამენტს აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად, თუმცა უწყებამ განაცხადა, რომ მხოლოდ დისკვალიფიცირებულ მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები, შერჩევის პროცესში მისთვის დისკვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია China Road and Bridge Corporation-ის ტენდერში გამარჯვებასა და მის მიერ წარმატებით განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით:

„კომპანია „China Road and Bridge Corporation“ 1979 წელს დაფუძნდა. კომპანიამ ბოლო 10 წელიწადში ააშენა 200-ზე მეტი გზა, რომელთა ჯამური სიგრძე 10 000 კმ-ზე მეტია; 100-კმ-ზე მეტი სიგრძის მქონე 40 მასშტაბური და რთული კონსტრუქციის ხიდი; 6 დიდი და რთული კონსტრუქციის გვირაბი, რომელთა ჯამური სიგრძე 30 კმ-ს აღემატება.“

თუმცა, უწყებას არაფერი გამოუქვეყნებია კომპანიის წარუმატებელ პროექტებთან, სკანდალებთან და მის შელახულ რეპუტაციასთან დაკავშირებით, რასაც ჩვენი ანაგრიშის მომდევნო თავებში დეტალურად იხილავთ.

2.3. მშენებლობის ზედამხედველობა

2018 წლის 13 ივნისს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა **სატენდერო განაცხადი E-60** მაგისტრალის უბისა-შორაპანის გზის მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით. ტენდერში მონაწილეობას იღებდა 9 კომპანია. 2019 წლის 5 ივლისს გამოვლინდა გამარჯვებული – Egis International in association with Engineering Monitoring Group Ltd. კონტრაქტის მინიჭების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ საკონტრაქტო ღირებუ-

ლება შეადგენს 2,484,442,80 დოლარს, 3,593,719.50 ევროსა და 9,364,585.02 ლარს. როგორც China Road and Bridge Corporation-ის შემთხვევაში, ამ ტენდერის ფარგლებშიც უცნობია შერჩევის პროცედურა და კრიტერიუმები.

რაც შეეხება Egis International in association with Engineering Monitoring Group Ltd-ს, იგი მართალია არა ჩინური, არამედ ფრანგული კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე მიმართულებით ოპერირებს, თუმცა 2018 და 2020 წლებში ისიც მსოფლიო ბანკის სანქციების ქვეშ იმყოფებოდა.

- ▶ 2018 წელს Egis International-ის შვილობილი კომპანიის Egis International Indonesia-ის წინააღმდეგ 15 თვიანი სანქციები დააწესა მსოფლიო ბანკმა. კომპანიამ ცრუ ინფორმაცია მიუთითა კონტრაქტში ძირითადი სპეციალისტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კონტრაქტი ეხებოდა ტიმორ-ლესტეში საგზაო სამუშაოების განხორციელებას.
- ▶ 2018 წელს საფრანგეთის პროკურატურამ ოფიციალურად დაიწყო გამოძიება „ეგისის“ შვილობილი კომპანიის – „ეგის ავიას“ წინააღმდეგ. კომპანიას ბრალად ედებოდა უცხოელი ოფიციალური პირების მოსყიდვა. მოგვიანებით Egis-მა ბრალი აღიარა და პროკურატურასთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც 2.6 მილიონი ევრო გადაიხადა სახელმწიფოს სასარგებლოდ.
- ▶ 2020 წლის 17 ივნისს მსოფლიო ბანკმა კვლავ დააკისრა სანქციები Egis-ს, ამჯერად ინდონეზიაში, კარნატაკის სახელმწიფო გზატკეცილის გაუმჯობესების მეორე პროექტსა (“KSHIP II”) და უტარ-პრადეშის ძირითადი საგზაო ქსელის განვითარების პროექტთან (“UPCRNDP”) დაკავშირებული კორუფციისა და თაღლითობის ფაქტების გამო.

მაშასადამე, უბისა-შორაპანის გზის მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა დაევალა კომპანიას, რომლის სახელსაც უკავშირდება: კორუფცია, ცრუ ინფორმაციის გავრცელება, ქრთამის აღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გზების მშენებლობის ფარგლებში.

3. შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა

2020 წლის 17 თებერვალს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია სოფელ უბისაში, უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებელი კომპანიის „China Road and Bridge Corporation“-ის საამქროს თუნუქის სახურავის ჩამოშლასთან დაკავშირებით. შემთხვევის შედეგად, მსუბუქად დაშავდა ჩინეთის ორი მოქალაქე, ხოლო საქართველოს ერთმა მოქალაქემ მძიმე დაზიანება მიიღო. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ირაკლი ქარსელაძემ ტელეკამერების წინ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, მკაცრად გააფრთხილა კომპანიის წარმომადგენლები. ქარსელაძის განცხადებით:

„ამასთანავე, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექცია უკვე ატარებს მოკვლევას და ხარვეზების დადგენის შემთხვევაში უმკაცრესად დაისჯება ყველა პასუხისმგებელი პირი. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაგრძელებთ მონიტორინგს, რათა ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ყველა დარღვევა მყისიერად აღმოიფხვრას“.


შრომის ინსპექციამ წინამდებარე მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები, საქმის სრულად მოკვლევამდე, დროებით შეაჩერა.

დამსაქმებლის განცხადებით, სახურავი დიდთოვლობის გამო ჩამოინგრა, თუმცა რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ დასაქმებულებსა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას. პროფკავშირების იმერეთის კოორდინატორის, ირაკლი მხეიძის განცხადებით:

„არ არის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უზრუნველყოფილი, არ არის კოლექტიური დაცვის საშუალებები უზრუნველყოფილი, შენობები, რომელიც აშენებულია, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ რეგლამენტებს და ა.შ. მრავლობითი დარღვევებია და იქ არსებული დარღვევები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ ამიტომ, 20 დღის წინ, ჩვენ წამოვიწყეთ შრომითი დავა, ამჟამად მიმდინარეობს მედიაცია და ჩვენ ვითხოვთ, რომ ამ კომპანიამ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იმ სტანდარტების დაცვა, რაც აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის“,

აღნიშნულ შემთხვევამდე ზუსტად ორი დღით ადრე, უბისა-შორაპანის გზის მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულმა ერთ-ერთმა მუშამ – ბექა ჭეიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს მიაწოდა სამშენებლო ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ამსახველი კადრები. დასაქმებულის განცხადებით, დამსაქმებელი კომპანია China Road and Bridge Corporation სამუშაო ადგილზე არ იცავდა მინიმალურ სანიტარულ ნორმებს, დასაქმებულებს აიძულებდნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოს და რაც ყველაზე მთავარია, ტერიტორიაზე არ იყო შექმნილი შრომის უსაფრთხოების პირობები. დასაქმებულმა ეს კადრები შრომის ინსპექციასაც მიაწოდა, რაც შემდგომში მისი გათავისუფლების რეალური მიზეზი გახდა.

„სამოქალაქო იდეამ“ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე, რომლის პასუხადაც უწყებამ განაცხადა, რომ



„შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვლის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა (შემდგომში – ინსპექტირების დეპარტამენტი) ჩაატარა მოკვლევა, დაადგინა რიგი დარღვევები და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეჩერდა სადემონტაჟო სამუშაოები. კონტრაქტორ კომპანიას მიეცა გამოსასწორებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები გარკვეულ ტექნიკურ საკითხებთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. კონტრაქტორმა კომპანიამ აღმოფხვრა გადაცდომები და აცნობა ინსპექტირების დეპარტამენტს.“

მიუხედავად China Road and Bridge Corporation-ის გაფრთხილებისა და ბატონი ქარსელაძის დაპირებისა, რომ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მონიტორინგი გამკაცრდებოდა, სამწუხაროდ, 2020 წლის მაისში კვლავ განმეორდა გზის მშენებლობაზე უბედური შემთხვევა.

18 მაისს უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისას ბუღდოზერის ოპერატორი მძიმედ დაშავდა. ოპერაციის ჩასატარებლად იგი ზესტაფონში, „ფერო-მედის“ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მუშას ფეხები დაუზიანდა. საბოლოოდ, ექიმებმა მხოლოდ ერთი ფეხის შენარჩუნება შეძლეს, ხოლო მეორე ფეხზე ამპუტაცია გახდა საჭირო. China Road and Bridge Corporation“-მა განაცხადა, რომ დაშავებულის მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯებს სრულად დაფარავდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყო გამოძიება. როგორც, საავტომობილო გზების პასუხიდან ირკვევა,

„ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, დაწყებული იქნა მოკვლევა. თუმცა, კონტრაქტორი კომპანიის ცნობით, მოკვლევის შედეგთან დაკავშირებით, არანაირი ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულ იქნა გამოძიება. საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამუშაოთა მწარმოებელი მიცემული იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით.“

2020 წლის სექტემბერში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კვლავ გამოაქვეყნა ინფორმაცია China Road and Bridge Corporation-ის სამუშაო ტერიტორიაზე – უბისა-შორაპანის გზატკეცილზე ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიის სპეციალისტის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით. დაშავებულს გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებითაც დაიწყო გამოძიება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინსპექტირების სამსახურს შეტყობინება China Road and Bridge Corporation-ისთვის არ გაუგზავნია, ვინაიდან დაზარალებული სხვა კომპანიის თანამშრომელი იყო, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება – ადამიანმა ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება მიიღო China Road and Bridge Corporation-ის სამუშაო ტერიტორიაზე, სადაც ყველანაირი პირობა უნდა ყოფილიყო შექმნილი უსაფრთხო სამუშაო გარემოსათვის.

ერთი წლის განმავლობაში უბისა-შორაპანის გზატკეცილზე 3 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, მომუშავე პერსონალი მძიმედ დაშავდა. სწორედ, China Road and Bridge Corporation-ის ვალდებულება იყო მაგისტრალზე მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

საინტერესოა, კომპანიამ, რომელმაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი გზა ააშენა, რატომ ვერ მოახერხა სამუშაო ტერიტორიაზე პერსონალისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა?

ასევე, რა როლს ასრულებდა უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კონტროლში ზედამხედველი კომპანია Egis International in association with Engineering Monitoring Group Ltd., რომელთანაც 2,484,442,80 დოლარის და 3,593,719.50 ევროს და 9,364,585.02 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და „Egis International in association with Engineering Monitoring Group Ltd as Sub-Consultant“-ს შორის 2019 წლის 5 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში პირდაპირაა განსაზღვრული Egis-ის ვალდებულება, რომ კონტრაქტორს გაუწიოს კონსულტაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით.

4. ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოები

2020 წლის 2 მარტს, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის (SRAMP) პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაცხადა **ტენდერი DEP200000014** ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 8 124 221,43 ლარს შედგენდა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა და ყველაზე დაბალი შეთავაზებით – 6,997,668.00 ლარით გაიმარჯვა China Road and Bridge Corporation-მა. **გამარჯვებული 2020 წლის 17 აგვისტოს გამოვლინდა.**² სატენდერო კომისიის თავმჯდომარე თავად ირაკლი ქარსელაძე იყო, რომელიც ამ პერიოდისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოზიციას იკავებდა, ამჟამად კი იგი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრია. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის განთავსებული ინფორმაცია კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან შესყიდვა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდებოდა, შემსყიდველს დეტალურად ჰქონდა განსაზღვრული როგორც შესყიდვის ტექნიკური მახასიათებლები, ისე მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესაბამისად. მათ შორის იყო მოთხოვნები გარემოს, სოციალური და ჯანმრთელობის უსაფრთხოების წესების დაცვა, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას შეექმნა უსაფრთხო გარემო მომუშავე პერსონალისთვის. ამ ფონზე, საინტერესოა, რომ სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ქარსელაძემ უპრობლემოდ შეარჩია და დაამტკიცა კომპანია CRBC, რომელმაც უბისა-შორაპანის მონაკვეთზე ვერ უზრუნველყო უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, რასაც არაერთი მუშის ჯანმრთელობა ემსხვერპლა, მათ შორის ერთმა დაკარგა ფეხი.

² DEP200000014 ტენდერში გამარჯვების შეტყობინება

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=347561&lang=ge>

³ ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფთან დაკავშირებულ გადაცდომების შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ სამოქალაქო იდეას მე-4 ანგარიში <https://civicidea.ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9d-%e1%83%98%e1%83%93%e1%83%94%e1%83%90%e1%83%a1-china-watch-%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%94/>

ირაკლი ქარსელაძე გამოირჩევა ჩინური კომპანიებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით. მაგალითად, 2019 წლის 15 აგვისტოს მან განაცხადა, რომ ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე 13-კილომეტრიან გზას „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი“³ ააშენებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიას მსოფლიო ბანკმა ტენდერებში ცხრა თვით მონაწილეობა აუკრძალა. მაშინ ბატონი ქარსელაძე, ჩვენი კრიტიკის პასუხად აცხადებდა, რომ აღნიშნული პროექტის ტენდერში ეს კომპანია მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებამდე მონაწილეობდა, მიუხედავად იმისა რომ რეალურად მათთან ურთიერთობა სწორედ, მსოფლიო ბანკის მიერ დისკვალიფიკაციის შემდეგ დაიწყო. ჩვენი მონიტორინგი ადასტურებს, რომ გზების დეპარტამენტი უმეტესწილად სწორედ, ჩინურ კომპანიებს ანიჭებს უპირატესობას და ამას არც არავინ უარყოფს.

CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION-ის საქმიანობა საქართველოში

ჩინური კომპანია China Road and Bridge Corporation (CRBC) სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს პორტალზე პირველად 2016 წლის დეკემბერში **დარეგისტრირდა მიმწოდებლის სტატუსით**. იგი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ორი უმსხვილესი პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს და ამ დრომდე მის სახელს არაერთი ხარვეზი და საეჭვო გარემოება უკავშირებდება:

- ▶ **უბისა-შორაპანის გზის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის** (განცხადების ნომერი: DEP180000085) ფარგლებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 2018 წლის 21 ნოემბერს კომპანია China Road and Bridge Corporation-მა გაიმარჯვა და მასთან 901,973,206.57 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა.
- ▶ **საავტომობილო გზების დეპარტამენტი უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე** იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა სწორედ China Road and Bridge Corporation, მოხდა თუ არა სხვა მონაწილეების დისკვალიფიკაცია და თუ მოხდა რა მიზეზით.
- ▶ 2020 წლის 12 თებერვალს უბისა-შორაპანის გზის მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულმა ბექა ჭეიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს მიაწოდა სამშენებლო ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ამსახველი კადრები და განმარტა, რომ **China Road and Bridge Corporation სამუშაო ადგილზე არ იცავდა მინიმალურ სანიტარულ ნორმებს, დასაქმებულებს აიძულებდნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოს და რაც ყველაზე მთავარია, ტერიტორიაზე არ იყო შექმნილი შრომის უსაფრთხოების პირობები. დასაქმებულმა ეს კადრები შრომის ინსპექციასაც მიაწოდა, რაც შემდგომში მისი გათავისუფლების რეალური მიზეზი გახდა.**
- ▶ შემოხსენებული ფაქტიდან ორი დღის შემდეგ, 2020 წლის 14 თებერვალს სოფელ უბისაში, უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებელი კომპანიის „China Road and Bridge Corporation“-ის საამქროს თუნუქის სახურავი ჩამოიშალა, რის შედეგადაც მსუბუქად დაშავდა ჩინეთის ორი მოქალაქე, ხოლო საქართველოს ერთმა მოქალაქემ მძიმე დაზიანება მიიღო. შრომის ინსპექციამ წინამდებარე მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები, საქმის სრულად მოკვლევამდე, დროებით შეაჩერა. **China Road and Bridge Corporation-ს მიეცა მიეცა მხოლოდ რეკომენდაციები და არ მომხდარა დამატებითი სანქციების გაცემა მის წინააღმდეგ.**
- ▶ 18 მაისს უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისას შესრულებისას კვლავ „China Road and Bridge Corporation“-ის თანამშრომელი ბუღდოზერის ოპერატორი, მძიმედ დაშავდა, მას ფეხზე ბუღდოზერმა გადაუარა, რის შედეგადაც ცალი კიდურის ამპუტაცია დასჭირდა და შრომის უუნარო გახდა. **„China Road and Bridge Corporation“-ის მიმართ არ განხორციელებულა რაიმე ტიპის სანქცია.**
- ▶ **2020 წლის სექტემბერში, China Road and Bridge Corporation“-ის სამუშაო ტერიტორიაზე აფეთქების შედეგად კვლავ დაშავდა ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიის მუშა, თუმცა China Road and Bridge Corporation“-ს ისევ არ დაკისრებია რაიმე სანქცია, მიუხედავად იმისა, რომ დაშავებული მის ტერიტორიაზე ახორციელებდა სამუშაოებს.**
- ▶ კომპანიამ, რომელმაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 200-ზე მეტი გზა ააშენა, **ვერ მოახერხა სამუშაო ტერიტორიაზე შეექმნა პერსონალისთვის უსაფრთხო გარემო.**

2020 წლის 02 მარტს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გამოაცხადა ტენდერი **DEP200000014** ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით. უწყებამ China Road and Bridge Corporation-თან 6,997,668.00 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა.

ტენდერი DEP200000014-ის ფარგლებში შემსყიდველს დეტალურად ჰქონდა განსაზღვრული მიმწოდებლის სავალიფიკაციო მოთხოვნები, მსოფლიო ბანკის სტანდარტების შესაბამისად. **მათ შორის იყო მოთხოვნები გარემოს, სოციალური და ჯანმრთელობის უსაფრთხოების წესების დაცვა, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას შეექმნა უსაფრთხო გარემო მომუშავე პერსონალისთვის.** ამ ფონზე, საინტერესოა, რომ სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ – **ირაკლი ქარსელაძემ უპრობლემოდ შეარჩია და დაამტკიცა კომპანია CRBC, რომელმაც უბისა-შორაპანის მონაკვეთზე ვერ უზრუნველყო უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, რასაც არაერთი მუშის ჯანმრთელობა ემსხვერპლა, მათ შორის ერთმა დაკარგა ფეხი.**



CRBC ყირგიზეთში



ჩინეთმა თავი ყირგიზეთის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორად დაიმკვიდრა. „სამოქალაქო იდეას“ China Watch-ის მესამე ანგარიშში, ჩვენ უკვე მოგიყევით ყირგიზეთში ჩინურ კომპანია Sinohydro-სთან დაკავშირებულ გადაცდომებზე. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ჩინური საწარმო არ არის ერთადერთი, რომელიც აქტიურად ატარებს ჩინეთის „ვალის ხაფანგის“ პოლიტიკას. ჯერ კიდევ 2018 წლის ივნისში, ყირგიზეთის მთავრობის წევრებისა და CRBC-ის წარმომადგენლების მონაწილეობით **მასობრივი კორუფციული სკანდალი**, ფერგანას ხეობის მედიასაშუალებაში გაავრცელა. ყირგიზეთის უდიდესი ინფრასტრუქტურული პროექტი, 433 კილომეტრიანი გზა და გვირაბი, რომელიც ჩრდილოეთის ნაწილს (ბიშკეკი) ქვეყნის სამხრეთ ნაწილთან (ოშთან) აკავშირებს, China Road and Bridge Corporation-ს გადაეცა. ყირგიზეთის მთავრობამ 850 მილიონი აშშ დოლარის სესხი ჩინეთის სკანდალური Exim Bank-ისგან მიიღო, რათა შემოსენებული პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ფარგლებში განეხორციელებინა. ფერგანას გამოძიების თანახმად, ტრანსპორტის ორმა ყოფილმა მინისტრმა, კალიკბეკ სულთანოვმა და ჟამშიტბეკ კალილოვმა, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ პროექტზე, ჩინური სესხიდან გამოყოფილი თანხის მოპარვის მიზნით, CRBC-სთან კორუფციული გარიგება დადეს. უფრო კონკრეტულად კი, თაღლითობის სქემა ძვირადღირებულ სამშენებლო მასალებს ეხებოდა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ადგილობრივ ბაზარზე 1კგ ცემენტის ფასი 7 ცენტი იყო, მათ **შემოსენებული გვირაბის მშენებლობისთვის 1კგ-ზე 1,1 აშშ დოლარი გადაიხადეს**. აღსანიშნავია, რომ **არცერთმა მათგანმა არ აღიარა დანაშაული** და რაც ყველაზე უარესია, ამ საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდანაც არ დაწყებულა საგამოძიებო მოქმედებები.



CRBC ხორვატიაში



ხორვატიაში სკანდალი მისი მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტის გარშემო განვითარდა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს Pelješac-ის 2.4 კილომეტრიან ხიდს, რომელიც აკავშირებს სამხრეთ ნაწილს (სადაც მდებარეობს ტურისტული ქალაქი – დუბროვნიკი) ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილთან. 2017 წელს, „ევროკავშირის ერთიანობის პოლიტიკის ფონდებმა“ (EU Cohesion Policy Funds) პროექტის ხარჯების 85%-ის დასაფარად, 357 მილიონი ევრო გამოყო, ხოლო, ხორვატიის მთავრობამ მის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო პროცედურაში **სამი წამყვანი პრეტენდენტი** იღებდა მონაწილეობას, 1) იტალიურ-თურქული კონსორციუმი Astaldi and Ictas, რომლებმაც ხიდის მშენებლობა 2.55 მილიარდ ხორვატულ კუნად შესთავაზეს, 2) ავსტრიული ფირმა Strabag 2.62 მილიარდი კუნას ღირებულების შეთავაზებით და 3) China Road and Bridge Corporation, რომელმაც ყველაზე ხელსაყრელი შეთავაზება – 2.08 მილიარდი კუნა წარადგინა. ევროპელი პრეტენდენტები ჩინურ კომპანიასთან დამარცხდნენ და ამ უკანასკნელმა Pelješac-ის ხიდის მშენებლობა 2018 წლის ივლისში დაიწყო. ხორვატიის გზის ოპერატორმა Hrvatske Ceste (HC)-მ **შეთანხმება გააფორ-**

მა ჩინური კონსორციუმთან, რომელსაც CRBC ხელმძღვანელობდა. ოფიციალური ხელშეკრულების თანახმად, პროექტის დასრულება 2021 წლის ივლისისთვის იყო დაგეგმილი. თუმცა, როგორც ხორვატიის პრემიერ მინისტრმა, ანდრეი პლენკოვიჩმა განაცხადა, Covid - 19 პანდემიის გამო, მისი დასრულება 2022 წლის თებერვლისთვის გადაიდო.

პროექტი ინტენსიური განხილვის საგანი გახდა 2018 წლიდან, მას შემდეგ, რაც ავსტრიულმა კომპანია Strabag-მა ჩინელი კონტრაქტორის CRBC-ის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. გარკვეული მედიასაშუალებების ცნობით, ავსტრიულ კომპანიას მხარს უჭერდა იტალიელი პრეტენდენტიც, რომელმაც ასევე გაასაჩივრა ხორვატიის მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილება. მათი პრეტენზიების მიხედვით, გამარჯვებული კომპანიის მიერ ჩამოთვლილი გარკვეული საგნები/ობიექტები წარმოუდგენლად დაბალ ფასში იყო მოცემული, რაც ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას. ევროპულმა კომპანიებმა ასევე, გაიხსენეს CRBC-ის დემპინგის პრაქტიკა, მისი კავშირები ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან და მოუწოდეს ადგილობრივ მთავრობას, რეაგირება მოეხდინა ამ საკითხებზე და ეჭვქვეშ დაეყენებინა ფასების შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან. ხორვატიის ხელისუფლებამ CRBC-სთან დაკავშირებული რისკების შეფასებით თავი არ შეიწუხა, და იხელმძღვანელა მხოლოდ შემოთავაზებული ფასებით და არა პრეტენდენტების საერთაშორისო რეპუტაციითა და წარსული გამოცდილებით.

მას შემდეგ, რაც ხორვატიის შესყიდვების პროცედურების კონტროლის სახელმწიფო კომისიამ უარყო განაცხადი, ავსტრიულმა კომპანიამ საჩივარი ზაგრების სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში შეიტანა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იმყოფება.

Pelješac-ის ხიდის პროექტი წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ იმარჯვებენ საეჭვო ჩინური კომპანიები ევროპულ კომპანიებზე ევროკავშირის ტენდერებში.

ოთხი წლის წინ, CRBC-სთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გამო, უკრაინა ჩინეთის „ვალის ხაფანგის“ პოლიტიკის მსხვერპლი სახელმწიფო გახდა. 2017 წლის 21 მარტს, M-22/E-584 Poltava-Oleksandria მაგისტრალისა და მდინარე დნეპრზე კრემენჩუკის ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, უკრაინის სახელმწიფო საავტომობილო სააგენტოს -Ukravtodor-ის უფროსმა სლავომირ ნოვაკმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს China Road and Bridge Corporation-ის ვიცე პრეზიდენტთან, Du Fei-სთან. პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინისთვის, რადგან იგი გაზრდიდა სახელმწიფოს ეროვნული ბიუჯეტის შემოსავალს და მეტ ინვესტიციას მოიზიდავდა დნეპრის რეგიონებში. უკრაინის მთავრობა კრემენჩუკის მშენებლობის განსახორციელებლად ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკისგან (Exim Bank) 300 მილი-



CRBC უკრაინაში



ონი დოლარის ოდენობის სესხის აღებას აპირებდა. 2017 წლის მაისში, **ეს წინადადება** ევროინტეგრაციის მინისტრის მოადგილის, ვიქტორ დოვგანის, პეკინში ვიზიტის დროსაც განიხილეს. თუმცა, ამ პერიოდისთვის **ჩინეთმა თავი შეიკავა აღნიშნული პროექტის დაფინანსებისგან** და სწორედ ამიტომ, CRBC-მ სამშენებლო სამუშაოები ვერ განახორციელა.

2017 წლის ივლისში, CRBC-ის ვიცე პრეზიდენტმა Ye Chengyin-მა გააფორმა მორიგი **ურთიერთგაგების მემორანდუმი** უკრაინულ-უკრაინაში აშკერად 200 კმ სიგრძის Odesa-Mykolaiv-Kherson საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით. ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ვიქტორ დოვგანმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ინიციატივა იყო **უფრო ფართომასშტაბური პროექტის „შავი ზღვის ბეჭედის“ ნაწილი**, რომელიც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენციაზე (BSEC) განიხილეს. დოვგანმა ასევე აღნიშნა, რომ ამ კონკრეტული მაგისტრალის მშენებლობას დაახლოებით 1,5 წელი დასჭირდებოდა და მისი ღირებულება 150-200 მილიონს დოლარს შეადგენდა. „აბრეშუმის ხიდის“ ვებ-გვერდის თანახმად, 2018 წელს, ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა სესხის სახით **200 მილიონი დოლარის ინვესტიცია** განახორციელა და შესაბამისად, უკრაინა ჩინეთის „მოვალე“ ქვეყანა გახდა.

საერთაშორისო ვაჭრობის ადმინისტრაციის (ITA) ინფორმაციით, უკრაინულ-უკრაინულსა და ორ ჩინურ კომპანიას, CRBC-ს და Poly Changda Engineering Co. Ltd-ს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები Velyka Kiltseva წრიული გზის პროექტის მშენებლობაზე. მისი განხორციელების თარიღები უცნობია და პროექტი დაგეგმვის ეტაპზეა. ITA-ს ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, პროექტის სპონსორია „უკრაინული“, თუმცა უცნობია, თუ რომელი წყაროებიდან მიიღებს სახელმწიფო სააგენტო საჭირო თანხებს.



CRBC ფილიპინებში



ფილიპინების სკანდალი მნიშვნელოვან გარდამტეხ წერტილად იქცა მსოფლიო ბანკისთვის, რომელმაც China Road and Bridge Corporation და მისი მემკვიდრე, China Communications Construction Company Limited შავ სიაში შეიყვანა. გზის გაუმჯობესებისა და მართვის ეროვნული პროგრამის (NRIMP) პირველი ფაზა, რომელიც თავდაპირველად მსოფლიო ბანკის დახმარებით ფინანსდებოდა, მრავალი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა და მოგვიანებით, ჩინეთის სხვა პროექტებს შორის ყველაზე სკანდალურ პროექტად იქცა ფილიპინებში. NRIMP სამფაზიანი პროგრამა (NRIMP 1, 2 და 3) იყო, რომელიც 2000-დან 2009 წლამდე გრძელდებოდა. როგორც იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ განხორციელებულ **შემაჯამებელ ანგარიშში ვკითხულობთ**, „მისი (NRIMP) მიზანია მენეჯმენტის ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული გზების სისტემათა განახლებასა და შენარჩუნებას ეკოლოგიურად, სოციალურად და ფინანსურად მდგრად საშუალებებში“. NRIMP-ის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 33-45 მილიონი აშშ დოლარი. CRBC, როგორც პირველი ფაზის მთავარი პრეტენდენტი,

თავის პარტნიორ კომპანიებთან ერთად: „China State Construction Corp., China Wu Yi და China Geo-Engineering Corp შეუთანხმდა ორ ფილიპინურ და ერთ კორეულ კომპანიას, რომ NRIMP 1 ტენდერის დროს, სატენდერო ფასებს ხელოვნურ, არაკონკურენტულ დონეზე დაადგენდნენ“. პროექტის ფინანსები გადანაწილდა ფილიპინების პოლიტიკურ, ბიუროკრატიულ აპარატსა და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებს შორის. ორმა მოწმემ დაადასტურა, რომ ქრთამი ასევე გადაეცათ შესაბამის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს, რათა თავიდან აეცილებინათ პროექტის ცუდი კუთხით გაშუქება/გასაჯაროება. CRBC-ის დაბლოკვიდან ორი წლის შემდეგ, CCCC-ც მსოფლიო ბანკის შავ სიაში მოხვდა, იმავე პროექტთან დაკავშირებული თაღლითური პრაქტიკის გამო.

ამის მიუხედავად, სანქციები მხოლოდ 2017 წლამდე გაგრძელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტ დუტერტეს ადმინისტრაციის დროს, ფილიპინების მთავრობა კვლავ აგრძელებდა თაღლითურ საქმიანობას CRBC-ის მემკვიდრე კომპანიასთან. 2019 წელს, CCCC-მ Macroasia Corp MAC.PS-თან ერთად 10 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აეროპორტის პროექტი მოიგო ფილიპინებში. Reuters-ის ცნობით, „CCCC ავიაკომპანიების მომსახურების კომპანია Macroasia-სთან გაერთიანდა, რათა კავიტის პროვინციის მთავრობასთან კონსორციუმის ფარგლებში, Sangley Point-ის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების პროექტი განეხორციელებინა“. აღსანიშნავია, რომ CCCC-MacroAsia ერთადერთი პრეტენდენტი იყო პროექტზე. მათ გამარჯვებას ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტებისა და ყოფილი თანამდებობის პირების კრიტიკა მოჰყვა. ფაქტი კი სახეზეა, რომ ფილიპინების ხელისუფლება აგრძელებს თანამშრომლობას ჩინეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ კომპანიებთან და ამ მჭიდრო კავშირებს „დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსით“ ამართლებს.

CRBC-ს საქმიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი კორუფციული სკანდალი კენიაში მოხდა. ჩინეთ-კენიის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა 2009 წელს, კენიის ტრანსპორტის მინისტრსა და CRBC-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით. დოკუმენტი ითვალისწინებდა მომავალ თანამშრომლობას კენიის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხში. 2012 წელს CRBC-სა და კენიის რკინიგზას შორის გაფორმებული ოფიციალური გარიგების თანახმად, ჩინური კომპანია უნდა გამხდარიყო ჩინეთ-კენიის ფინანსური ხელშეკრულების წინაპირობა. გარიგებას ხელი მოაწერა ნდუვა მულმა, რომელიც შემდგომ კენიის ტრანსპორტის სამინისტროს ნაწილი გახდა (კონკრეტულად რა თანამდებობა ჰქონდა) და მოგვიანებით, კორუფციის ბრალდებით სამსახურიდან გაათავისუფლეს.

Standard Gauge Railway (SGR), ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი დამოუკიდებელი კენიის ისტორიაში, რომელიც გადაჭიმულია მომბასადან ნაირობამდე და მისი ღირებულება 3,8 მილიარდ აშშ დო-

CRBC კენიაში



ლარს შეადგენს, მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა, დაწყებული გაბერილი ფასებით, რაც მის აღსრულებას ეკონომიკურად შეუძლებელს ხდიდა და ამ გარემოებამ შესაბამისად, პროექტიდან რუანდისა და უგანდის გასვლა გამოიწვია. თავიდანვე ჩინეთმა კი უარი განაცხადა პროექტის მეორე ფაზის დასაბონსორებაზე. თუმცა, კენიის მთავრობამ უარყო ეს ბრალდებები, შეთქმულების თეორიები უწოდა მათ და ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

ჩინეთის მთავრობას არ სურდა ამ პროექტის სრული უგულებელყოფა. სწორედ ამიტომ ის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ნაწილად გამოაცხადა. 2012 წელს, კენიის მთავრობამ CRBC-ს მიანიჭა უფლება, ჩაეტარებინა SGR-ს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ამ უკანასკნელმა თავისი მომსახურება უფასოდ შესთავაზა, მაშინ როცა ხელშეკრულების მიღების უფლება ოფიციალურად აღარ ჰქონდა, რადგან იმ დროისთვის CRBC მსოფლიო ბანკის მიერ უკვე შეყვანილი იყო შავ სიაში. 2014 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ მინისტრი, Li Keqiang, ესწრებოდა CRBC-სა და კენიის მთავრობას შორის **3,8 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულების ხელმოწერას** SGR-ს მშენებლობისთვის. ჩინეთის Exim Bank-მა პროექტის 85% დააფინანსა და მშენებლობის დასრულება 2017 წლისთვის განისაზღვრა. შესაბამისად, კენია გახდა ჩინეთის „ვალის ხაფანგის“ პოლიტიკის მსხვერპლი, რომელსაც იგი მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ახორციელებს. Reuters-ის ცნობით, „ოპოზიციის ლიდერებმა და კენიელმა ეკონომისტებმა გააკრიტიკეს რკინიგზის დაფინანსება ქვეყნის საგარეო ვალის გაზრდის ხარჯზე, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, 2017-2018 ფისკალური წლის განმავლობაში, კენიის ეკონომიკური წარმოების (მშპ-ს) 54-55%-ს გაუტოლდა“. ეთიოპია და ანტიკორუფციულმა კომისიამ (EACC) დაიწყო გამოძიება მთავრობის წარმომადგენლებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტის სახელმწიფო და სამშენებლო პროცედურებში. 2018 წელს, მათ მთავრობის წარმომადგენლების მიერ **221.4 მილიონი შილინგის (2.20 მილიონი აშშ დოლარი) ქურდობა** გამოაშკარავეს. პროკურორ Noordin Haji-ის განცხადებით, „ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადასახადის გადამხდელთა ფული მიითვისეს და განაცხადეს თითქმის ეს თანხა რკინიგზისთვის მიწის გამოსასყიდად იქნა გამოყენებული“.



2015 წელს, კენიის სასამართლომ გამოაქვეყნა სამოქალაქო საჩივარი ნომრით 13, რომელშიც მან CRBC-ს მიერ SGR-ის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაცდომები გაამჟღავნა. დოკუმენტის მიხედვით, CRBC-სთვის ხელშეკრულების მინიჭებისას, კენიის რკინიგზამ დაარღვია ქვეყნის კანონი და მოცემული კონტრაქტი დაახასიათა, როგორც „არაკონსტიტუციური, არარეგულარული, უკანონო, ბათილი“. შედეგად, დააკავეს 18 ოფიციალური პირი, ბიზნესმენები და კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ქურდობასა და თაღლითურ სქემებში მონაწილეობის გამო დამნაშავედ ცნეს. მათ შორის იყვნენ ეროვნული მიწის კო-

მისიის თავმჯდომარე Mohammed Abdalla Swazuri და კენიის რკინიგზის კოორპორაციის დირექტორი Atanas Kariuki Maina.

გარდა ამისა, CRBC კენიაში ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციას დაადასტურებს. კენიელები ჩიოდნენ, რომ SGR-ის პროექტი, რომელიც მათი გადასახადებით ფინანსდება, მათთვის მოსალოდნელზე ნაკლებ მომგებიანი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, კენიის მოქალაქეებისთვის ნაკლები სამუშაო ადგილი შეიქმნა, ვიდრე პროექტის დასაწყისში იყო ნათქვამი. ამის ნაცვლად, CRBC-მ ჩამოიყვანა ჩინელი მუშები, რომლებიც მათი ადგილობრივი კოლეგებისგან განსხვავებით, უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ და კარგ პირობებში ცხოვრობდნენ. უცხოელი მუშების რაოდენობამ სამჯერ გადააჭარბა თავდაპირველ რაოდენობას და 2000-ის ნაცვლად, 5795 ადამიანი შეადგინა. უფრო მეტიც, მაშინ როცა პრივილეგირებული ჩინელი მუშები კარგად აღჭურვილ სახლებსა და ოფისებში იყვნენ, ადგილობრივ კენიელებს ჩაგრავდნენ და ცუდად ეპყრობოდნენ. Daily Nation-ის მიხედვით, „CRBC-ის მხოლოდ მთავარი ხუთი ინჟინერის შენახვა 12 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაჯდა, რაც მეტი სმეტია კენიასთვის, რომელსაც აქვს მზარდი ეკონომიკა, მაგრამ მაღალია უმუშევრობა და სიღარიბის მაჩვენებელი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე კი, შემოსავალი თვეში დაახლოებით \$1,500-ს შეადგენს“. პროექტის კრიტიკოსები პროგნოზირებენ კიდევ უფრო მეტ სკანდალს, რომელიც პროექტის უფრო სიღრმისეული გამოძიებისას შეიძლება გამოვლინდეს.

SGR-ის გახსნის შემდეგ, CRBC-ის შვილობილმა კომპანია AfricaStar Railway Operation-მა ახალ რკინიგზაზე სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მუშაობის კონტროლის შესახებ კონტრაქტი მოიგო. კონტრაქტის თანახმად, SGR-ის საქმიანობის განსახორციელებლად, კენიის მთავრობამ კომპანიას 6.5 მილიარდი შილინგი გადასცა. 2018 წლის გამოძიებამ დაადასტურა, რომ AfriStar-ის საშუალებით, მისმა მთავარმა აქციონერმა (CRBC-მ) ბილეთების რთული დაჯავშნის სისტემით მანიპულირება მოახდინა და ჩინეთის რკინიგზის შემოსავლები ოპერატორსა და სხვა თანამშრომლებს შორის გაყო. გარდა ამისა, მათ შექმნეს თანხის ანაზღაურების ყალბი სისტემა იმ ბილეთებზე, რომლებიც მატარებელში ასვლისთანავე უკვე დაურიგდათ მათ მომხმარებლებს, ხოლო შემოსული თანხა კი, რეალურად სხვგან გადარიცხეს. თანხების ყალბი ანაზღაურების უპრეცედენტო რაოდენობის გამო, რამაც მილიონობით შილინგის დაკარგვა გამოიწვია, კენიის რკინიგზას განგაშის ატეხვა მოუწია. შესაბამისად, კენიის რკინიგზას AfriStar-თან ხელშეკრულების შეწყვეტა მოუწია. 2018 წელს, კრიმინალური გამოძიების დირექტორატის (DCI) ოფიცრების 500 000 კენიური შილინგით მოსყიდვის მცდელობისთვის დააკავეს CRBC-ს სამი წარმომადგენელი, ჩინეთის მოქალაქეები, ტრანსპორტის უფროსი Li Gen, უსაფრთხოების მენეჯერი Li Xiaowu და CRBC-ს თანამშრომელი Sun Xin. სააგენტომ მედიასთან განაცხადა, რომ ბილეთებთან დაკავშირებული თაღლითობის მტკიცებულებებისა და მიმდინარე გამოძიების მიხედვით, შესაძლოა CRBC-ის სხვა წარმომადგენლების დაპატიმრებაც მოხდეს.

Office of The Director Of Public Prosecutions @ODPP_KE · Nov 25, 2018
1/3 The DPP has today given consent to @EACCKenya to institute criminal prosecution against three Chinese National working with China Roads and Bridge Corporation (CRBC) at the Standard Gauge Railways (SGR) Mombasa Terminus. cc @DCI_Kenya

Office of The Director Of Public Prosecutions @ODPP_KE

2/3 The three, Mr. Li Gen the in-charge of Transport, Mr. Li Xiaowu-security manager and Mr. Sun Xin-staff, were offering @DCI_Kenya investigators bribe of Kshs 500,000/= as an inducement to influence an ongoing criminal investigation at the SGR Miritini terminus. cc @EACCKenya



7:09 PM · Nov 25, 2018

STANDARD GAUGE RAILWAY (SGR)-ის ბილეთების თაღლითური სქემა

ტერმინების ლექსიკონი

CRBC – ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია“ – “China Road and Bridge Corporation”, რომელიც 1958 წელს დაარსდა და ამჟამად CCCC-ის შვილობილი კომპანიაა.

CCCC – ჩინეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია “China Communications Construction Company”, რომელიც 2005 წელს China Road and Bridge Corporation (CRBC)-ისა და China Harbour Engineering Company (CHEC)-ის შერწყმით შეიქმნა.

NRIMP – ფილიპინების პირველი ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამის პროექტი, იყო სამფაზიანი პროგრამა (2000-დან 2009 წლამდე), რომელიც თავდაპირველად ფინანსდებოდა მსოფლიო ბანკის მიერ, მრავალი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა და მოგვიანებით, ჩინეთის სხვა პროექტებს შორის, ყველაზე სკანდალურ პროექტად იქცა ფილიპინებში.

INT – „The Integrity Vice Presidency არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც იძიებს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში თაღლითობისა და კორუფციის ქეისებს და შე-საბამისად ახორციელებს სანქციებს“.

<https://www.worldbank.org/en/about/unit/integrity-vice-presidency>

EXIM BANK – „ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და სახელმწი-ფო საკუთრებაში მყოფი ბანკი, დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსით. ეს არის ბანკი, რომელიც პირდაპირ იმყოფება სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ, ემსახურება და მხარს უჭერს ჩინეთის საგარეო ვაჭრობას, ინვესტიციებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობას“.

<http://english.eximbank.gov.cn/Profile/AboutTB/Introduction/>

UKRAVTODOR – უკრაინის საავტომობილო გზების სახელმწიფო სააგენტო, რომელიც 1990 წელს დაარსდა და ჩაანაცვლა საბჭოთა უკრაინის საავტომობილო გზების სამინისტრო.

ITA – საერთაშორისო სავაჭრო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სავაჭრო საკითხებში სა-ვაჭრო მდივნის მოადგილე. ადმინისტრაცია აძლიერებს აშშ-ს ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს ვაჭრობასა და ინვესტიციებს და უზრუნველყოფს სამართლიან ვაჭრობას.

<https://www.trade.gov/about-us>

JICA – იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო არის სამთავრობო სააგენტო, რომელიც უზრუნ-ველყოფს ტექნიკურ თანამშრომლობას და დახმარების სხვა ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონო-მიკურ და სოციალურ განვითარებას.

<https://www.jica.go.jp/english/index.html>

SGR – Standard Gauge Railway, ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი დამოუკიდებელი კენიის ისტო-რიაში, რომელიც გადაჭიმულია მომბასადან ნაირობიმდე და მისი ღირებულება 3,8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

EACC – „ეთიკისა და ანტიკორუფციული კომისია სხვადასხვა წყაროდან აგროვებს ინფორმაციას მთავრობასა და საჯარო სექტორში მომხდარი კორუფციის შესახებ. ამ წყაროებში შედის საზოგადოების წარმომადგენ-ლები, სამთავრობო დეპარტამენტებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ოფიციალური პირები, რომლებიც მუშაობენ როგორც საჯარო და კერძო სექტორში, ასევე მედიაში“.

<https://eacc.go.ke/default/>

DCI – კრიმინალური გამოძიების დირექტორატი შეიქმნა პოლიციის ეროვნული სამსახურის 2011 წლის კანონის შესაბამისად. ის კენიის პოლიციის ეროვნული სამსახურის ნაწილია.

<https://www.cid.go.ke/index.php/aboutus/background-of-cid.html>

The official Linkedin account of China Road and Bridge Corporation (CRBC),

<https://www.linkedin.com/organization-guest/company/crbc?challengeId=AQEhxoDG5xpDuQAAAXjpxh8Sz-7ErpE86CxdOInLEoGfEuO5ZH0HF4bogDr5EyKscIKs84thrG-Sn4265JWUXFk89NSpPNzg&submissionId=c9dee84b-1b3d-7716-af68-926051047357>

Sheridan Prasso. (19/09/2018). A Chinese Company Reshaping the World Leaves a Troubled Trail. Source:

<https://www.bloomberg.com/news/features/2018-09-19/a-chinese-company-reshaping-the-world-leaves-a-troubled-trail>

The official World Bank review of The Integrity Vice Presidency (INT),

<https://www.worldbank.org/en/about/unit/integrity-vice-presidency>

Nikko Dizon. (26/10/2016). Chinese company banned by World Bank bags PH infrastructure project. Source:

<https://business.inquirer.net/217467/chinese-company-banned-by-world-bank-bags-ph-infrastructure-project>

The World Bank. (29/07/2011). World Bank Applies 2009 Debarment to China Communications Construction Company Limited for Fraud in Philippines Roads Project. Source:

<https://www.worldbank.org/en/news/press-release/2011/07/29/world-bank-applies-2009-debarment-to-china-communications-construction-company-limited-for-fraud-in-philippines-roads-project>

Kate O’Keeffe, Chun Han Wong. (26/08/2020). U.S. Sanctions Chinese Firms and Executives Active in Contested South China Sea. Source:

<https://www.wsj.com/articles/u-s-imposes-visa-export-restrictions-on-chinese-firms-and-executives-active-in-contested-south-china-sea-11598446551>

The World Bank. (22/10/2015). World Bank Statement on Commission of Inquiry into Uganda National Roads Authority (UNRA). Source:

<https://www.worldbank.org/en/country/uganda/brief/world-bank-statement-on-commission-of-inquiry-into-uganda-national-roads-authority-unra>

იხილეთ სამოქალაქო იდეას მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები პროექტ „China Watch“-ის ფარგლებში: <https://civicidea.ge/?s=China+Watch>

სახელმწიფო შესყიდვა DEP200000014 <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=347561&lang=ge>

ტენდერი E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობასთან (F3) დაკავშირებით:

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1545739194>

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიმოხილვა 16.09.2016:

http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=434&info_id=57765

„მომავალ წელს გზების მშენებლობისთვის 1.283 მილიარდი დაიხარჯება“; 02.10.2017

<http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=96690&lang=geo>

„რა სარგებლობას მოუტანს რიკოთის ყველაზე მასშტაბური პროექტი საქართველოს“; Business Feed; ნოდარ სირბილაძე; 08.10.2020;

<https://businessfeed.ge/ra-sargeblobas-moutans-rikothis-qhvelaze-masshtaburi-proeqti-saqarthvelos/>

საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტები; რიკოთის საუელტეხილო მონაკვეთი:

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები:

<https://www.eib.org/en/projects/pipelines/all/20170287>

შეტყობინება ტენდერის გამოცხადების შესახებ:

<http://www.georoad.ge/uploads/files/PROCUREMENT%20NOTICE%20GE063.pdf>

საავტომობილო გზების დეპარტამენტი: „უბისა-შორაპანის გზის მშენებლობაზე ხელშეკრულება გაფორმდა“:

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&uid=1542805987>

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო განაცხადი:

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1562661343>

Egis Group organisation:

<https://www.egis-group.com/organisation>

Corruption: The French National Financial Prosecutor Signed His Fifth Judicial Public Interest Agreement, 15.01.2020,

<https://fcpaprofessor.com/corruption-french-national-financial-prosecutor-signed-fifth-judicial-public-interest-agreement/>

World Bank Group Announces Settlement with Egis India Consulting Engineers Private Limited; 17.06.2020,

<https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/06/17/world-bank-group-announces-settlement-with-egis-india-consulting-engineers-private-limited>

„უბისა-შორაპანის მშენებელ კომპანიას გაფრთხილება მიეცა“ 17.02.2020,

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&uid=1581930244>

უბისას მონაკვეთზე ახალი გზის მშენებლობა შეჩერდა – ჩინური კომპანიის ყოფილი თანამშრომელი „კურიერთან“ საგანგაშო დარღვევებზე საუბრობს 15-02-2020 21:10 <https://rustavi2.ge/ka/news/155467>

საქართველოს საავტომობილო გზების პასუხი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებით

https://drive.google.com/file/d/1ddAy_XdJZ01T2sUQvQjCG0mzAfxnaEMX/view?usp=sharing

„საავტომობილო გზის უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობაზე მუშა დაშავდა“ 18.05.2020;

<https://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&uid=1589813914>

„უბისა-შორაპანის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისას, მუშაკს ტრაქტორმა გადაუარა“ 18.05.2020;

<https://constructionnews.ge/%e1%83%a3%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%9d/>

საქართველოს საავტომობილო გზების პასუხი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებით, გვ. 52

https://drive.google.com/file/d/1ddAy_XdJZ01T2sUQvQjCG0mzAfxnaEMX/view?usp=sharing

„საავტომობილო გზის უბისა-შორაპანის მონაკვეთზე კონტრაქტორი კომპანიის სპეციალისტი დაშავდა“ 11.09.2020

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&func=menu&uid=1599845874&pid=>

საქართველოს საავტომობილო გზების პასუხი საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებით

https://drive.google.com/file/d/1ddAy_XdJZ01T2sUQvQjCG0mzAfxnaEMX/view?usp=sharing

საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და „Egis International in association with Engineering Monitoring Group Ltd as Sub-Consultant“-ს შორის 2019 წლის 5 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება

https://drive.google.com/file/d/1kq_R8C7HSWYRLHg-TSek3BZRfONzsG6K/view?usp=sharing

DEP200000014 ტენდერი <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=347561&lang=ge>

DEP200000014 ტენდერის გახსნის ოქმი:

<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=3818643&code=1586352521>

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა

<https://mrdr.gov.ge/ka/about/%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.html>

შესყიდვის დოკუმენტაცია

<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=3770072&code=1583165579>

„ირაკლი ქარსელაძე – ჩინური კომპანიისთვის მსოფლიო ბანკის მიერ დაწესებული სანქცია ქვეშეთი-კობის პროექტზე არ ვრცელდება“, 15.08.2019;

<https://1tv.ge/news/irakli-qarseladze-chinuri-kompaniistvis-msofli-bankis-mier-dawesebuli-sanqcia-qvesheti-kobis-proeqtze-ar-vrceldeba/>

Satina Aidar. (09/08/2018). Kyrgyzstan's north-south road to corruption. Source:

<https://www.opendemocracy.net/en/odr/kyrgyzstans-north-south-road-to-corruption/>

DOĞUKAN BAŞ. (09/2020). RISING SINOPHOBIA IN KYRGYZSTAN: THE ROLE OF POLITICAL CORRUPTION.

Source: <https://etd.lib.metu.edu.tr/upload/12625699/index.pdf>

Satina Aidar. (22/10/2018). What we know about alleged elite corruption under former Kyrgyz president Almazbek Atambayev. Source:

<https://www.opendemocracy.net/en/odr/what-we-know-about-alleged-elite-corruption-under-former-kyrgyz-president-almazbek-atambayev/>

Reuters Staff. (23/01/2018). Austria's Strabag files complaint with Croatia over bridge tender. Source:

<https://www.reuters.com/article/croatia-construction-idUSL8N1PI5CB>

Iskra Pavlova. (14/07/2020). China's CRBC completes 50% of works on Peljesac bridge in Croatia – report. Source:

<https://seenews.com/news/chinas-crbc-completes-50-of-works-on-peljesac-bridge-in-croatia-report-706397>

HINA. (30/01/2018). China Rejects Allegations against Pelješac Bridge Contractor. Source:

<https://www.total-croatia-news.com/business/24960-china-rejects-allegations-against-peljesac-bridge-contractor>

Mateusz Seroka, Jakub Jakóbowski. (25/04/2018). Dispute around Chinese contract to build bridge in Croatia. Source:

<https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2018-04-25/dispute-around-chinese-contract-to-build-bridge-croatia>

Jelena Prtoric. (25/05/2020). In Croatia, China's Building its Bridge to Europe. Source:

<https://chinaobservers.eu/in-croatia-chinas-building-its-bridge-to-europe/>

Interfax-Ukraine. (23/03/2017). “Ukravtodor, CRBC start working on project to build Kremenchuk bypassing road with bridge across Dnipro River”. Source: <https://en.interfax.com.ua/news/economic/410683.html>

Open For Business. (15/05/2017). “UKRAINE TO RAISE \$300 MLN LOAN FROM CHINA EXIMBANK VIA CRBC TO BUILD BRIDGE IN KREMENCHUK”. Source:

https://open4business.com.ua/ukraine-raise-300-mln-loan-china-eximbank-via-crbc-build-bridge-kremenchuk/?fbclid=IwAR0eLCOePPTAwzNvx9RChusRTJ19msmnDRqmehDwoE_6GZuOPJw8bdPiD8U

RWR Advisory Group. (10/07/2017). China Road and Bridge Awarded Odessa-Mykolaiv Highway Project; China Continues to Invest in Ukraine, but Outside of Crimea. Source:

<https://www.rwradvisory.com/china-road-and-bridge-awarded-odessa-mykolaiv-highway-project-china-continues-to-invest-in-ukraine-but-outside-of-crimea/>

China Road and Bridge Corporation. (11/07/2017). CRBC Vice President Ye Chengyin Visits Ukraine for Work Inspection. Source:

<https://www.crbc.com/site/crbcEN/381/info/2017/4834123.html?id=afd3ea85-64b2-4fa1-9289-d197e2b5d6a4>

Nikvesti. (08/06/2019). Проект бетонной трассы между Одессой и Херсоном предполагает строительство нового моста в Николаеве/The project of a concrete route between Odessa and Kherson involves the construction of a new bridge in Nikolaev. Source: <https://nikvesti.com/news/politics/160369>

Silk Bridge. (01/04/2021). CRBC – China Road and Bridge Corporation, Китайская дорожно-мостовая корпорация. Source: <https://silkbridge.info/crbc-china-road-and-bridge-corporation/>

International Trade Administration. (11/06/2020). Ukraine – Country Commercial Guide. Source: <https://www.trade.gov/knowledge-product/ukraine-infrastructure>

Japan International Cooperation Agency (JICA). (10/2009). PREPARATORY SURVEY FOR ROAD ENHANCEMENT AND ASSET PRESERVATION MANAGEMENT PROGRAM (REAMP) IN THE REPUBLIC OF THE PHILIPPINES. Source: <https://openjicareport.jica.go.jp/pdf/11962446.pdf>

Business World Online. (01/08/2011). World Bank bans affiliate of blacklisted contractor. Source: <https://www.bworldonline.com/content.php?section=3&title=World-Bank-bans-affiliate-of-blacklisted-contractor&id=35641>

Reddit. (2017). Chinese construction firm set to undertake infrastructure projects in Phils under Duterte’s deals from China, is currently under a World Bank blacklist for corruption. Source: https://www.reddit.com/r/Philippines/comments/591vot/chinese_construction_firm_set_to_undertake/?utm_source=mweb_redirect&compact=true

Neil Jerome Morales. (17/12/2019). China’s CCCC, Philippines’ Macroasia win \$10 billion airport project. Source: <https://www.reuters.com/article/us-cccc-philippines-idUSKBN1YL12E>

One News. (01/09/2020). Chinese Firm Involved In Sangley Point International Airport Project Cited For Corruption, Aside From SCS Island-Building. Source: <https://onenews.ph/chinese-firm-involved-in-sangley-point-international-airport-project-cited-for-corruption-aside-from-scs-island-building>

Dominic Omondi. (21/06/2020). How State officers committed Kenya to flawed SGR deal. Source: <https://www.standardmedia.co.ke/the-standard-insider/article/2001375814/how-state-officers-committed-kenya-to-flawed-sgr-deal>

UWE WISSENBACH, YUAN WANG. (16/10/2016). LOCAL POLITICS MEETS CHINESE ENGINEERS: A STUDY OF THE CHINESE-BUILT STANDARD GAUGE RAILWAY PROJECT IN KENYA. Source: <https://static1.squarespace.com/static/5652847de4b033f56d2bdc29/t/58136e42b3db2ba8eafb7cbb/1477668419649/kenya+v3.pdf>

Humphrey Malalo. (11/08/2018). Kenya arrests two top officials for suspected corruption over new \$3 billion railway. Source: <https://www.reuters.com/article/us-kenya-corruption-railway-idUSKBN1KW07L>

Voa News. (13/08/2018). Kenya Charges Top Officials With Fraud Over New \$3B Railway. Source: <https://www.voanews.com/africa/kenya-charges-top-officials-fraud-over-new-3b-railway>

Kenyan Court. (2015). CIVIL APPEAL NO. 13 OF 2015. Source: <http://kenyalaw.org/caselaw/cases/view/196972/>

John Hayward. (26/02/2010). Broke Kenya Spent Millions in Tax Dollars to Entertain Chinese Engineers. Source: https://www.breitbart.com/national-security/2020/02/26/broke-kenya-spent-millions-in-tax-dollars-to-entertain-chinese-engineers/?fbclid=IwAR0s9mVHqPzRcQxd2pG2zGAaXCB9oc_hjeXCa9Qr61AfvcgP5wr5zGkNe0

ANI. (25/06/2020). Kenyan court declares USD 3.2 billion railway contract with China illegal. Source: https://sg.news.yahoo.com/kenyan-court-declares-usd-3-2-billion-railway-013320822.html?guccounter=1&guce_referrer=aHR0cHM6Ly93d3cuZ29vZ2xLmNvbS8&guce_referrer_sig=AQAAABd0U9EqgfTNYKQzQAscV9B9g2xCbo--XFhrcT6DQeIRIRZiXuvt0QKh4vRqDAhaxa_hdFzqM3z9la8RvvouxLYbjFK19EEv2Irp3UOI97j0o0-to2yOaRCkBAr5qapSND0IERzq_bPWTDh112qNkGwTogCe7l1gzCbVpZfMcG

Morris Kiruga. (12/06/2019). Kenya’s rail deal with China’s CRBC a blow to taxpayers. Source: <https://www.theafricareport.com/13914/kenyas-rail-deal-with-chinas-crbc-a-blow-to-taxpayers/>

EDWIN OKOTH. (25/11/2018). How millions of shilling have been stolen in SGR tickets scandal. Source: <https://nairobineews.nation.co.ke/news/millions-shilling-stolen-sgr-tickets-scandal>

Shem Oirere. (12/03/2021). Kenya Railways to end SGR contract with Afristar. Source: <https://www.railjournal.com/africa/kenya-railways-to-end-sgr-contract-with-afristar/>

BBC. (26/11/2018). Chinese charged over Kenya ‘railway scam’. Source: <https://www.bbc.com/news/world-africa-46341910>



ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე
პასუხისმგებლები არიან
ანი კინწურაშვილი,
მარიამ უსენაშვილი

civicidea.ge



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world